თანასწორობის პრინციპი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურების პირობებში

მარიამ ბუცხრიკიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართალი

ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი - სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ბუცხრიკიძე

2025 წელი

აბსტრაქტი

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ მიდგომას და დაუშვებლად ცნობს მათ შორის, საქმეზე ყოველგვარი წესის დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებას, რომელსაც შესაძლოა არსებითი გავლენა ჰქონდეს საქმის გადაწყვეტის ბედზე, სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფასა და მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

წინამდებარე ნაშრომის საკვლევი საკითხია, თუ როგორ აისახება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურება მხარეთა პროცესუალურ უფლებებზე და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფაზე. რა გავლენას ახდენს თანასწორობის პრინციპის დარღვევა სისხლისსამართლებრივი დევნის გაჭიანურებისას ბრალდებულის უფლებებზე? როგორ უნდა დარეგულირდეს საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები, რათა თავიდან იქნას აცილებული სისხლისსამართლებრივი დევნის გაჭიანურება, რომელიც ძირს უთხრის თანასწორობის პრინციპს?

ნაშრომის მიზანია განიხილოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურების პირობებში თანასწორობის პრინციპის მნიშვნელობა და გავლენა ბრალდებულის უფლებათა დაცვის კუთხით. ამ მიზნის მისაღწევად ნაშრომი გააანალიზებს შესაბამის საკანონმდებლო რეგულაციებს, სასამართლო პრაქტიკასა და საერთაშორისო გამოცდილებას, რათა მიღებული იქნას დასკვნა, რომელიც უზრუნველყოფს სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლიანობასა და ეფექტიანობას.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურებისას ირღვევა თანასწორობის პრინციპი. მოქმედი კანონმდებლობა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის გზით გვთავაზობს, თუმცა გასაჩივრების პროცედურები ბუნდოვანია და საჭიროებს დახვეწასა და კონკრეტიზაციას. ამასთან, საჭიროა საკანონმდებლო სიახლეები, რომლებიც უფრო მეტად უზრუნველყოფს პროცესში ბრალდებულის უფლებების რეალიზაციას.

საკვანძო სიტყვები: დევნის გაჭიანურება, თანასწორობის პრინციპი, დაუშვებელი მტკიცებულება.

Abstract

In the case of the deliberate delay in initiating criminal prosecution, the Criminal Procedure Code of Georgia adopts one of the strictest approaches, declaring as inadmissible, including any evidence obtained in full compliance with the rules, which may have a significant impact on the outcome of the case, ensuring a fair trial and the administration of justice.

The issue explored in this thesis is how the delay in initiating criminal prosecution affects the procedural rights of the parties and the provision of the right to a fair trial. What impact does the violation of the equality principle have on the rights of the accused during the delay in criminal prosecution? How should legislative and practical gaps be addressed to prevent delays in criminal prosecution, which undermine the principle of equality?

The goal of this thesis is to examine the importance and impact of the equality principle on the protection of the accused's rights in cases of delayed initiation of criminal prosecution. To achieve this goal, the thesis will analyze relevant legislative regulations, judicial practice, and international experience to reach a conclusion that ensures the fairness and effectiveness of criminal prosecution.

The research concludes that the delay in initiating criminal prosecution violates the equality principle. The current legislation addresses this issue by deeming evidence inadmissible, however, the appeal procedures are unclear and require refinement and specification. Additionally, legislative reforms are needed to better ensure the realization of the accused's rights during the proceedings.

Keywords: delay of prosecution, principle of equality, inadmissible evidence.